ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგითი სხდომის

ო ქ მ ი № 8

სხდომის ჩატარების დრო:

27 მაისი, 2026 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:

რუსთაველის გამზირი №3.
ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციულ
შენობაში არსებული სხდომათა დარბაზი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგით მერვე სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი გიორგი ჭიღვარია.

ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ქალბატონი მ.ნიჟარაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები, ბატონები: ლ.გვენეტაძე და ა.კოპალეიშვილი, საკრებულოს წევრები: ს.ნერგაძე, მ.ჩიხლაძე, ბ.გვეტაძე, მ.კოსტავა, დ.მხეიძე, ჯ.ბიბილეიშვილი, შ.ჯიშკარიანი, ი.კუჭავა, თ.ბაკურაძე, ლ.ჩიტიძე, ა.გიორგაძე, ა.თამაზაშვილი, მ.გიორგაძე, ბ.ჩეჩელაშვილი, ს.სარალიძე, კ.ფხაკაძე, მ.სინაურიძე, გ.იობაშვილი, თ.მებურიშვილი, ე.არჩაია.

სულ: 25 წევრიდან - 24 წევრი.

არ ესწრებოდა: საკრებულოს წევრი, ალ.მიქაუტაძე.

სულ: 1 წევრი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი დ.ერემეიშვილი, მერის მოადგილეები: ბატონები გ.ცხაკაია, დ.ნიშნიანიძე და შ.მშვილდაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი, ბატონი გ.სვანიძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამდივნო განყოფილების უფროსი, ქალბატონი ც.პატარიძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ადმინისტრაციული განყოფილების უფროსი, ქალბატონი ნ.კაკაბაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი, ქალბატონი ე.ნიკიფი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - იურიდიული განყოფილების უფროსი, ქალბატონი მ.სვინტრაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მოქალაქეთა მიღებისა და საქმისწარმოების განყოფილების უფროსი, ქალბატონი მ.ავალიანი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი, ქალბატონი თ.მელქაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი რ.ფანცხავა, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი ვ.სილაგაძე, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“ უფროსი, ბატონი ლ.კინწურაშვილი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სოციალურ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელი,

ბატონი ვ.გობეჯიშვილი, მერიის სამსახურებისა და საკრებულოს აპარატის სხვა პასუხისმგებელი მუშაკები, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების ხელმძღვანელები, საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები.

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ და დღის წესრიგის პროექტის წარმოდგენამდე გააკეთა **განცხადება**: „მოგესალმებით ქალბატონებო და ბატონებო. მივესალმები ჩვენს თანაქალაქელებს. პირველ რიგში, კიდევ ერთხელ მინდა მოგილოცოთ დამოუკიდებლობის დღე - 26 მაისი. ასევე, მინდა აღვნიშნო, რომ 1700 წელი გავიდა საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებიდან. ქრისტიანულმა რელიგიამ უდიდესი როლი ითამაშა ქართველი ერის განვითარებაში.“

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგითი მერვე სხდომის დღის წესრიგის პროექტის შესახებ“**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგითი მერვე სხდომის **დღის წესრიგის** შემდეგი პროექტი:

1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი დავით ერემეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ოთარ ფანცხავა
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი

2. „საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმისა და

საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ფორმების, მათი შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის №34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი დავით ერემეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ლევან კინწურაშვილი
არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის
„ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“ უფროსი

3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – სოციალურ საკითხთა სამსახურის ანგარიში 2025 წლის იანვრიდან 2026 წლის მაისამდე გაწეული საქმიანობის შესახებ

ბატონი დავით ერემეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ვარლამ გობეჯიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - სოციალურ საკითხთა
სამსახურის ხელმძღვანელი

4. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის №359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი დავით ერემეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ვალერიან სილაგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

5. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 25 მარტის №59 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი დავით ერემეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ვალერიან სილაგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ საკრებულოს რიგითი მერვე სხდომის დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 21-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ლ.გვენეტაძე, ა.თამაზაშვილი, მ.სინაურიძე, ალ.მიქაუტაძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგითი მერვე სხდომის **დღის წესრიგი** დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, **გიორგი ჭიღვარიას** მიერ ზემოთ წარმოდგენილი რედაქციით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის **პირველი** საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **დადგენილების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის -

საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა **ოთარ ფანცხავამ.**

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი (პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“) ბატონი **მიხეილ გიორგაძე:** „თქვენ წარმოადგინეთ ცვლილება მიუსაფარი ძაღლების თავშესაფართან დაკავშირებით თანხის გაზრდის თაობაზე. რა შეიცვლება ამით, რას ელოდებით, ცვლილებაში კონკრეტულად რა იგულისხმება, ვოლიერების რაოდენობა გაიზრდება?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი **ოთარ ფანცხავა:** „მოგახსენებთ. საქართველოს მთავრობის 2026 წლის 25 თებერვლის განკარგულებით, ძაღლების ჰიპერპოპულაციის მართვა შეეხო მთელი საქართველოს მასშტაბით მიუსაფარ და უპატრონო ცხოველებს. აღნიშნული პროგრამა მოიცავს მათ იდენტიფიკაციას, საჭიროების შემთხვევაში მათ მკურნალობას, ძუ ძაღლების სტერილიზაციას. პროგრამის მიზანია, უსაფრთხო გარემოს შექმნა რეგიონში, მათთვის შენობების მოწყობა. ასევე, გათვლილია მედიკამენტები, პროგრამაში ჩართული თანამშრომლების სახელფასო ხარჯები და შენობა, სადაც უნდა განთავსდეს ვოლიერები, დროებითი სადგომები, მათი მშენებლობის ხარჯები.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **დავით ნიშნიანიძე:** „ეს პროგრამა დაიწყო შარშან. შარშანდელი გამოყოფილი თანხის ფარგლებში ვოლიერები და საოპერაციო სივრცეები დაემატა. წელს უკვე იქნება ინტერვენციული ცენტრი, სადაც იმერეთის ყველა მუნიციპალიტეტია გათვალისწინებული. ამის უზრუნველყოფა ხდება მთავრობის განკარგულებით. ძაღლები განთავსდებიან ვოლიერებში, ჩაუტარდებათ შესაბამისი საჭირო

მკურნალობა. ამ პროცედურების გავლის შემდეგ დაუბრუნდებიან იმ არეალებს, საიდანაც იქნენ აყვანილნი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი (პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“), ბატონი **მიხეილ გიორგაძე:** „მე იმიტომ დავსვი შეკითხვა, რომ ეს თემა მოსახლეობისათვის აქტუალურია, მინდოდა, მათთვის მიგვეწოდებინა ამომწურავი ინფორმაცია.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ქალბატონი **მარეხ ნიჟარაძე:** „გასაგებია, რომ ქუთაისის თავშესაფარი მოემსახურება იმერეთის მუნიციპალიტეტებს. მაინტერესებს, მას შემდეგ, რაც თავშესაფრიდან ცხოველების გაშვება მოხდება, ხომ არ მოემატება ქუთაისს მიუსაფარი ძაღლების რაოდენობა?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **დავით ნიშნიანიძე:** „არა, არ გაიზრდება მიუსაფარი ცხოველების რაოდენობა, რადგან ხდება მათი იდენტიფიკაცია.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, ბატონი **დიმიტრი მხეიძე:** „ეს პროცესი ვერ კონტროლდებოდა. მე, როგორც ვიცი, სხვა მუნიციპალიტეტებიდან ჩამოყავდათ მიუსაფარი ძაღლები და ქუთაისის საზღვრებთან ტოვებდნენ. ახლა, როგორც გავიგე და ვთვლი, რომ სწორი გადაწყვეტილებაა, სხვა მუნიციპალიტეტები მომსახურებისათვის გადაიხდიან შესაბამის საფასურს. ამით ქუთაისშიც ვარეგულირებთ მიუსაფარი ცხოველების პოპულაციის საკითხს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ქალბატონი **მარეხ ნიჟარაძე:** „ანუ თანადაფინანსებაში მუნიციპალიტეტები შემოდიან?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის

ხელმძღვანელი, ბატონი **ოთარ ფანცხავა:** „დიახ, ასევე, თითოეული ძაღლი დაინომრება, მოხდება მათი იდენტიფიკაცია და წარმომავლობის დადგენა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი გიორგი ჭიღვარია: „ეს ნამდვილად კარგი საქმეა. მიუსაფარი ცხოველების თემა მუდმივად პრობლემა იყო ჩვენი მუნიციპალიტეტისათვის.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი (პოლიტიკური პარტია „გირჩი“), ქალბატონი **თეკლა მებურიშვილი:** „ძაღლების თავშესაფართან დაკავშირებით მაქვს ერთი შეკითხვა. რამდენ ძაღლს მოემსახურება ეს ვოლიერები, რაც ქუთაისში იქნება განთავსებული და ასევე, თქვენ ახსენეთ, რომ ბიუჯეტის ნაწილში გვაქვს 2 მილიონ ლარზე მეტი ზრდა და თუ შეგიძლიათ, დაგვისახელოთ ის წყაროები, რომლის მიხედვითაც მოხდა ბიუჯეტის ზრდა და ასევე, რამდენი პროცენტით გაიზარდა ბიუჯეტი ჯარიმებით?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი **ოთარ ფანცხავა:** „ბიუჯეტის ზრდა მოხდა 2 მილიონ 986 ათასი ლარით. მათ შორის: 2 102, 2 ათასი ლარი არის ზვიად გამსახურდია ქუჩის №19, №21, №23 და №44 მრავალსართულიანი ბინების ფასადების რეაბილიტაციისათვის. 170, 0 ათასი ლარით გაიზარდა „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2026 წლის 29 იანვრის № 222 განკარგულებით გამოყოფილი თანხები და ჯამში შეადგინა 1 3030, 3 ათასი ლარი. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის დაკრძალვასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსების მიზნით, საქართველოს მთავრობის 2026 წლის 20 მარტის №589 განკარგულებით ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტს გამოეყო მიზნობრივი ტრანსფერი 48,8 ათასი ლარის ოდენობით. ამასთან განხორციელდა 2025 წლის ბოლოს დარჩენილი გაუნაწილებელი ნაშთიდან - 486, 1 ათასი ლარის ასახვა ბიუჯეტში. ჯარიმების ნაწილი გაიზარდა 286 ათასი ლარით, რომელიც შეეხება სამშენებლო და სხვა ადმინისტრაციულ დარღვევებს. “

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი (პოლიტიკური პარტია „გირჩი“), ქალბატონი **თეკლა მებურიშვილი:** „ეს ზრდა 2026 წლის დასაწყისიდან დღემდეა ხომ? ანუ რამდენ თვეში მოხდა ზრდა ჯარიმებით?

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი **ოთარ ფანცხავა:** „2026 წლის გეგმა გაიზარდა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვას ძაღლების თავშესაფართან დაკავშირებით - თავშესაფარი გათვლილია 10 ათასზე მეტ ძაღლზე. შენობა განთავსებული იქნება ავტოქარხნის ტერიტორიაზე, იქ სადაც ჩვენი ა(ა)იპია.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 24-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდა საკრებულოს წევრი, ალ.მიქაუტაძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 23 წევრი, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო: 2-მა წევრმა, ქალბატონებმა: თ.მებურიშვილმა და ე.არჩაიამ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის **პირველ** საკითხზე მიღებულ იქნეს **დადგენილება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელის, **ოთარ ფანცხავას** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **დადგენილება №15** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის **მეორე** საკითხის - **„საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე ადმინის-ტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმისა და საჯარიმო**

ქვითრის (ოქმის) ფორმების, მათი შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის №34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ზემოაღნიშნულ საკითხზე **დადგენილების** პროექტი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2026 წლის 27 მაისის სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით, ცვლილებით **(დადგენილების პროექტის პრეამბულაში ჩაემატა „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტი, ამასთან დადგენილების პროექტის მე-2 მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2026 წლის პირველი მაისიდან.“)**, წარმოადგინა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“ უფროსმა, ბატონმა **ლევან კინწურაშვილმა.**

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი (პოლიტიკური პარტია „გირჩი“), ქალბატონი **თეკლა მებურიშვილი:** „ბატონო ლევან, ეს ცვლილება ითვალისწინებს ჯარიმების ზრდას, რამდენით გაიზარდა ჯარიმა?“

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“ უფროსი, ბატონი **ლევან კინწურაშვილი:** „ საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით - ამკრძალავი ნიშნის - „გაჩერება აკრძალულია“ ან „დგომა აკრძალულია“ მოთხოვნის დაუცველობა, აგრეთვე დგომის ან გაჩერების წესებით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნების დაუცველობა ქალაქ ქუთაისში იწვევს დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით. იყო 10 ლარი გახდა 50. ამავე კანონის 125-ე მუხლს დაემატა 8^2 და 8^3 ნაწილები. 8^2 ნაწილი სატრანსპორტო საშუალების ტროტუარზე ან

ქვეითთა გადასასვლელზე დგომა (გარდა იმ გამონაკლისი შემთხვევისა, როდესაც სატრანსპორტო საშუალების ტროტუარზე დგომა დასაშვებია) გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით. 8[3] ნაწილით გათვალისწინებულია ჯარიმა 200 ლარის ოდენობით სახანძრო ჰიდრანტთან ავტომობილის დგომა-გაჩერებისათვის. "

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი (პოლიტიკური პარტია „გირჩი") ქალბატონი **თეკლა მებურიშვილი:** „ამასთან დაკავშირებით, ჩემი მოსაზრების დაფიქსირება მინდა აუცილებლად. ზოგადად ვფიქრობ, ამ დარბაზიდან, რომ გავიდეთ და რიგით ქუთაისელს ვკითხოთ, თქვენზე ეს ჯარიმა, როგორ გავლენას იქონიებს და დაუჭერდით თუ არა მხარს, არ მგონია, მოვძებნოთ ქუთაისელი, ვინც ამას დაუჭერს მხარს. კომისიის სხდომებზეც არაერთხელ აღვნიშნე ეს ფაქტი, რომ მე თვითონ ფეხით მოსიარულე ვარ, მანქანა არ მყავს, არ ვაჩერებ და მით უმეტეს ჩემნაირ ადამიანებს, მით უმეტეს საბავშვო ეტლით გადავაადგილდები ხოლმე, გვაქვს პრობლემა, რადგან მანქანები გაჩერებულია ისეთ ადგილებზე, როგორიც არის ბორდიური, ტროტუარი ან ისეთი ტერიტორია, სადაც ფეხით მოსიარულეები მოძრაობენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, მეც ამ ქალაქში ვცხოვრობ და რომ მივიხედ-მოვიხედავ, ადამიანს იმიტომ ყავს მანქანა გაჩერებული ტროტუარზე, რომ საპარკინგე ადგილი არ არსებობს. 20, 30, 50 ლარიანი ჯარიმა ხომ გვესმის, რომ პრობლემას წარმოადგენს ოჯახისათვის, სადაც 1000, 1500 ან თუნდაც 2000 ლარია შემოსავალი, როდესაც ჯერ არ გვაქვს მოგვარებული საპარკინგე სისტემა და ადგილები, ჯარიმის ათჯერ გაზრდა და იქ, სადაც ჯარიმა არ იყო დაწესებული - 200 ლარით განსაზღვრა, ვფიქრობ, ჩვენი თანაქალაქელებისათვის დიდი წნეხი იქნება. ეს 10 ლარიანი ჯარიმა 20 ლარამდე რომ გაგეზარდათ, მე მხარს მაინც არ დავუჭერდი და არ მესმის იდეაც, ჯარიმის 10 - ჯერ გაზრდის. ორჯერ გაზრდა არ იყო საკმარისი, ან ეკონომიკურად ეფექტს მოიტანს ეს ზრდა? გვაქვს ეს საკითხი შესწავლილი?"

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის" უფროსი, ბატონი **ლევან კინწურაშვილი:** „მარტივად ვიტყვი, როცა სახელმწიფო მილიონებს ხარჯავს იმაში, რომ მოაწესრიგოს

ინფრასტრუქტურა და ადამიანებმა კომფორტულად შეძლონ გადაადგილება, როდესაც ბორდიურზე მანქანას დააყენებ, უხერხულზე მეტია. სახელმწიფო ხარჯავს ადამიანებისათვის ძალიან ბევრ რესურსს, რომ კომფორტულად გადაადგილდნენ. თქვენ როგორ ფიქრობთ, ეტლით მოსარგებლე შშმ პირი როდესაც მოძრაობს, მანქანა უნდა იდგეს თუ არა ტროტუარზე?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ქალბატონი **მარეხ ნიჟარაძე:** „თქვენ როგორ წარმოგიდგენიათ ჯარიმა?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი გიორგი ჭიღვარია: „ჯარიმის დაწესება არ არის ჩვენი თვითმიზანი, ჯარიმა იმისთვის არსებობს, რომ მოქალაქემ კანონი არ დაარღვიოს. ჰიდრანტებთან დაკავშირებით გეტყვით: როდესაც ვიღაცის სახლში ხანძარია და ამ დროს მანქანა დგას ჰიდრანტთან, ხომ შეუშლის ხელს იმ სახლში ხანძრის ლიკვიდაციას? აბა ნახეთ, რამდენად დაზარალდება მოქალაქე, ვის სახლშიც ხანძარია?! ჯარიმა წესდება იმისათვის, რომ მოქალაქემ არ დაარღვიოს კანონი, წესი და უნდა ქონდეს განცდა, რომ ამ წესის დარღვევის გამო დაეკისრება ჯარიმა."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი (პოლიტიკური პარტია „გირჩი"), ქალბატონი **თეკლა მებურიშვილი:** „ბატონო ლევან, თქვენს კითხვას უნდა გავცე პასუხი. სახელმწიფო არაფერს ხარჯავს, სახელმწიფოს არაფერი გააჩნია თავად. მოქალაქეების ფული იხარჯება. სახელმწიფო მილიონს რომ ხარჯავს, ქუთაისს არაფერი ეტყობა. მაგალითად, პანდუსებზე. ბავშვის გადაადგილებას ვერ ვახერხებ ჩვეულებრივი საბავშვო ეტლით, რადგან პანდუსები არ არის. ვიდეოებიც მაქვს გადაღებული და ამ პრობლემაზე ყველა საუბრობს. ანუ მხოლოდ მანქანები არ არის პრობლემა, პრობლემა არის ინფრასტრუქტურაც. ცალკე წნეხში ვაქცევთ იმ ადამიანებს, ვინც მანქანით მოძრაობს. პარკინგის ადგილები ფიზიკურად არ არის და უწევთ სახლთან დააყენონ მანქანა, მათ შორის ბორდიურზე. თქვენი პოზიცია აბსოლუტურად გასაგებია. 10-ჯერ ზრდა არ მიუთითებს ლოგიკურად, რომ ეს

პრობლემის მოწესრიგებისკენაა მიმართული. ეს უფრო ბიუჯეტის ზრდაზეა გათვლილი, ვიდრე პრობლემის მოგვარებაზე."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარე, ბატონი **დიმიტრი მხეიძე:** „თქვენს წინაშე მინდა დავაფიქსირო, რომ ძალიან დიდ პატივს გცემთ, თუმცა უნიკალური პოპულისტური განცხადებები გაქვთ. ბატონმა გიორგიმ სწორად აღნიშნა, ჯარიმის მატება არ არის ჩვენი თვითმიზანი. ჩვენი თვითმიზანი არის ის, რომ მხოლოდ და მხოლოდ კანონდარღვევა აღიკვეთოს. გვეთანხმებით, რომ არასწორია ბორდიურზე დგომა. პარკირების პრობლემა არის, მაგრამ ეს მარტო ჩვენს ქალაქში არ არის, მარტო ჩვენი ქალაქის პრობლემა არაა. ყველა მზარდ ქალაქშია. ყველგან, სადაც მოსახლეობის მზარდი მონაცემებია. თუ გნებავთ ვიმსჯელოთ რომელიმე კომისიის ფორმატში, მაგრამ ეს არ არის საფუძველი იმისა, რომ არ გავზარდოთ ჯარიმები. გეთანხმებით, რომ დიდი თანხაა, მაგრამ ეს დაარეგულირებს საკითხს. ის ხალხი, ვინც 10, 20 ლარს იხდის, იფიქრებს, გადავიხდი ამ თანხას და დავაყენებ მანქანას ბორდიურზე. ეს ასე არ უნდა იყოს. არსებობს კანონი და ჩვენც კანონმორჩილები ვართ. მეც პირადად ვერ ვაყენებ მანქანას მერიასთან. არ არის საკმარისი ადგილი და ფასიან პარკინგზე ვტოვებ მანქანას. აქედან გამომდინარე, კიდევ ერთხელ მინდა დავაფიქსირო, რომ ეს არ არის იმისკენ მიმართული, რომ ჩვენ გავუზარდოთ შემოსავალი ქალაქს. ეს არის იმის დაფიქსირება, რომ კანონი უნდა იყოს დაცული და არ უნდა დაარღვიოს მოქალაქემ. მართლაც, მილიონები იდება ქალაქის ინფრასტრუქტურაში, უნიკალურად არის გაკეთებული სკვერები და კიდევ კეთდება ქალაქის მერის, ბატონი დავით ერემეიშვილის ხელმძღვანელობით, მისი გუნდის მეთაურობით და არავის მივცემთ იმის საშუალებას, რომ ვიღაცამ პარკირების ადგილი ვერ იპოვოს და თავისი სამტონიანი მანქანა დააყენოს ბორდიურზე, ამით დააზიანოს ბორდიურიც და მოქალაქეებს შეუქმნას საფრთხე. მე თქვენ შეკითხვას დაგისვამთ: ევროპის ნებისმიერ ქვეყანაში, ბორდიურზე რომ შეაყენოთ მანქანა, რა მოხდება, როგორ დაგაჯარიმებენ? თქვენ იტყვით, მათი შემოსავლები სხვაა და მაღალია, ვიდრე ჩვენი,

მაგრამ კანონს მოსდევს ვალდებულება და აღსრულება. იმისათვის, რომ არ მოხდეს ავტომობილის საჯარიმოზე გადაყვანა, რაც უფრო დააზარალებს ჩვენს მოქალაქეებს, ამიტომ ჯარიმებით შემოვიფარგლებით."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ქალბატონი **მარეხ ნიჟარაძე:** „მოგესალმებით. პირველ რიგში ის გამიკვირდა, რომ ბიუჯეტის მატებას და ცხოველთა თავშესაფრის მოწესრიგებას არ დაუჭირეს მხარი ჩვენი ოპოზიციის წარმომადგენლებმა. მინდა გითხრათ, ნამდვილად არ ველოდი ამას. ეს ძალიან დიდი პრობლემაა ქალაქისათვის და მოქალაქეებისთვის. მეორე - არ მგონია, ოპოზიციის რომელიმე წარმომადგენელი, იმაზე მეტად ზრუნავდეს ქალაქზე, როგორც ეს გუნდი ზრუნავს. არ მგონია, რომელიმე ჩვენგანი იყოს მოტივირებული იმაზე, რომ მოქალაქეები დავაჯარიმოთ და ხალხი დავაზარალოთ. ასეთი პოპულისტური განცხადებები კი არ არის საჭირო, არამედ რა მოსაზრებებს და წინადადებებს შემოგვთავაზებთ თქვენ. ამბობთ, რომ გიჭირთ ტროტუარზე გავლა ბავშვთან ერთად. ასე უქმნიან საფრთხეს სხვა ქვეითებსაც, ვინც იძულებულია, ტროტუარიდან სამანქანო გზაზე გადავიდეს. ბავშვიც გადადის, ქალიც გადადის და მოხუცებიც გადადიან. მათ სიცოცხლეს საფრთხე ექმნება და ეს ყველაფერი, რომ ავიცილოთ თავიდან, ამიტომ ყველა უნდა დაემორჩილოს კანონს. ეს არ არის ახალი და მეორე - რა არ კეთდება ქალაქში, რომელი ადგილებია ვთქვათ, მაგალითად ცენტრალური ქუჩები, თავისი ბორდიურებით, რა არის მოუწესრიგებელი. მაქსიმალურად ვცდილობთ, ხელისუფლება, რომ ქალაქში იყოს ძალიან მოწესრიგებული ბორდიურებიც, რეკრეაციული ზონები და ასე შემდეგ. ძალიან ბევრი რამ კეთდება, გაკეთდება და რაც მეტს დაინახავთ, უფრო მეტად მიიღებთ ადამიანების მხარდაჭერას. რეალობის მუქ ფერებში დახატვა ნამდვილად არ გინდათ. „ნაციონალების" დროს გვახსოვს, „სითი პარკი" რას ჩადიოდა. პატარა ბავშვები, რომ ისხდნენ მანქანებში, ისიც კი გადაყავდათ საჯარიმოზე. ასეთს არ ვაკეთებთ, წინასწარ ვაფრთხილებთ, ჯარიმა გაიზარდა, იმიტომ, რომ 10 ლარიანმა ჯარიმამ ვერ გამოიღო შედეგი. მე ვნახე, ქალბატონი

ელეონორას სტატუსი ჯარიმებთან დაკავშირებით. არ მგონია, ქალბატონო ელეონორა, „ბარაქას“ წინ, რომ ტროტუარებზე მანქანები დაგიყენონ, ეს გესიამოვნოთ და მისაღები იყოს თქვენთვის.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი („პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“), ქალბატონი **თამთა ბაკურაძე:** „ერთს ვიტყვი, რომ ყველა საკითხის პოლიტიკურ ჭრილში განხილვა, ვფიქრობ, არაა მართებული. მე იმ მოქალაქეების მცირერიცხოვან ნაწილს მივეკუთვნები, რომელიც ფეხით გადაადგილდება და ჩემს მცირეწლოვან გოგონასთან ერთად, არაერთხელ შემქმნია გადაადგილების დროს პრობლემა, თუნდაც აი ამ ტროტუარზე დაყენებული მანქანების გამო. მე მივესალმები ამ გადაწყვეტილებას. ჯარიმების გაზრდა არ არის სადამსჯელო ხერხი. ეს არის გაფრთხილება. ელემენტალურად, საზოგადოებრივ ტრანსპორტს, ავტობუსებს გაჩერების საშუალებაც კი არა აქვთ, ვინაიდან გაჩერებებზე დგანან ავტომობილები. ამიტომ, მე პირადად, როგორც ფეხით მოსიარულე მოქალაქე, მივესალმები ამ ფაქტს და ვერ განვიხილავ ვერანაირ პოლიტიკურ და პარტიულ ჭრილში.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი (პოლიტიკური პარტია „გახარია-საქართველოსთვის“) ქალბატონი **ელეონორა არჩაია:** „მე უბრალოდ, მოქალაქეები გავაფრთხილე, ჩემი სტატუსი ამ შინაარსს შეიცავდა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ დღის წესრიგის **მეორე** საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 24-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდა საკრებულოს წევრი, ალ.მიქაუტაძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 23 წევრი, წინააღმდეგი: 1 წევრი: ქალბატონი, თ.მებურიშვილი), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის **მეორე** საკითხზე მიღებულ იქნეს **დადგენილება** არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“

უფროსის, **ლევან კინწურაშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 27 მაისის **№16 დადგენილების** პროექტში.

(„საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმისა და საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ფორმების, მათი შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის №34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **დადგენილება №16** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის **მესამე** საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – სოციალურ საკითხთა სამსახურის ანგარიში 2025 წლის იანვრიდან 2026 წლის მაისამდე გაწეული საქმიანობის შესახებ“**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – სოციალურ საკითხთა სამსახურის ანგარიში 2025 წლის იანვრიდან 2026 წლის მაისამდე გაწეული საქმიანობის შესახებ წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სოციალურ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა **ვარლამ გობეჯიშვილმა.**

(ანგარიში ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ქალბატონი **მარეხ ნიჟარაძე:** „არ შეიძლება ამ სამსახურს ხმამაღლა არ

ვუთხრათ მადლობა გაწეული სამსახურისთვის. მე, მაქსიმალურად ვარ ჩართული ამ საკითხში. ჯერ არ ყოფილა მოქალაქე, რომელიც მათგან კმაყოფილი და მადლიერი არ წამოსულიყო. სამსახურს ყავს ძალიან კარგი გუნდი და მინდა მადლობა ვუთხრა ბატონ ვარლამს იმ გულისხმიერებისა და დამოკიდებულებისთვის, რომელსაც ის იჩენს მოქალაქეების მიმართ. მას აქვს ურთიერთობა ყველაზე მოწყვლად ჯგუფებთან. ეს ძალიან რთულია. მართალია, ყველა პრობლემის მოგვარება ვერ ხერხდება, მაგრამ რასაც აწესრიგებს, აწესრიგებს მნიშვნელოვნად, ეფექტურად. მოქალაქეს შეიძლება დარჩეს რაიმე საკითხი მოუგვარებელი, მაგრამ ბატონი ვარლამი ისე აუხსნის, გაარკვეს, მისცემს სწორ მიმართულებას, რომ რჩება კმაყოფილი. ეს ნამდვილად არის მოქალაქეებზე ორიენტირებული სამსახური და მოქალაქეებთან ურთიერთობა კარგად გამოსდით. მინდა, მადლობა გადავუხადო სამსახურს, ბატონ ვარლამს და ვუსურვო წარმატება."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი**: „მადლობა ბატონო ვარლამ, პირადად თქვენ და თქვენს სამსახურს იმ ყოველდღიური შრომისათვის, რომელსაც ეწევით თქვენს გუნდთან ერთად. ჩემი ამომრჩევლების სახელითაც მინდა გითხრათ მადლობა. ძალიან ხშირია ჩვენს შორის კომუნიკაცია სხვადასხვა საჭიროებებთან დაკავშირებით."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი **მანანა ჩიხლაძე**: „ცალსახად ვთანხმდებით, რომ დიდია ამ გუნდის როლი ამ მიმართულებით. მეც მინდა შევუერთდე ჩემს კოლეგებს და მადლობა გადავუხადო ამ გუნდს. ასევე, დიდია სურვილი მეტის გაკეთების. ჩვენ ვაპირებთ დავგეგმოთ მეგობრული შეხვედრა სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებთან ჯანდაცვის მიმართულებით, ეგებ კიდევ ერთი საინტერესო პროგრამა იქნეს შემოთავაზებული ჩვენი მოქალაქეებისათვის. მოგეხსენებათ, რომ საჭიროება უამრავია, სურვილი დიდია, რომ მეტი გაკეთდეს, მაგრამ დამერწმუნეთ, კეთდება შესაძლებლობის მაქსიმუმი და სწორედ ამ სურვილის რეალიზებისათვის ვიგეგმებით ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლები. ჩვენ ამ

მიმართულებით გვქონდა სამუშაო შეხვედრა საკრებულოს თავმჯდომარესთან, ბატონ გიორგისთან და საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარესთან, ბატონ დიმიტრისთან. ბატონი ვარლამი არის ძალიან მოტივირებული და ვფიქრობ, რომ კოლეგების ჩართულობით, კიდევ ერთ საინტერესო პროგრამას შევთავაზებთ თანამოქალაქეებს. კიდევ ერთხელ მადლობა ბატონო ვარლამ, თქვენ და თქვენს გუნდს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, ბატონი **დიმიტრი მხეიძე:** „როგორც ფრაქციის ხელმძღვანელი, პოლიტიკურ ხაზს გავუსვამ ჯანდაცვის სფეროში დიდ მიღწევებსა და რეფორმებს - დაწყებული 2012 წლიდან. ყველას მოგეხსენებათ, რა იყო 2012 წლამდე, რა მოდერნიზაცია და წინსვლა განიცადა ჯანდაცვის სფერომ. ხელმისაწვდომი გახდა საყოველთაო ჯანდაცვა. დღეს ყველასთვისაა შესაძლებელი ჯანდაცვის მიღება. მაქსიმუმი კეთდება ამ მიმართულებით და ესტაფეტა გრძელდება. დიდი მადლობა მინდა გითხრათ ბატონო ვარლამ. თქვენ ძალიან დიდი გამოცდილება გაქვთ. ჩემი საპარლამენტო მოღვაწეობის პერიოდში თქვენ იყავით ჩემი ბიუროს თავმჯდომარე და ჯანდაცვის საკითხები ყველა თქვენთან გადიოდა. გაქვთ ძალიან დიდი გამოცდილება და ნამდვილად სწორი იყო თქვენი ამ სამსახურის უფროსად დანიშვნა. მინდა, კიდევ ერთხელ მადლობა ვთქვა და ეს ეხება ოპოზიციას, ვინაიდან ისინი დღეს ესწრებიან სხდომას და კომისიურ მუშაობაშიც იღებენ მონაწილეობას. ეს აუცილებელია ჩვენი მოსახლეობის ხვალინდელი დღისა და კეთილდღეობისათვის. თუ მხარს აგვიბამთ და გააგრძელებთ ასეთ თანამშრომლობას, ერთად მეტს გავაკეთებთ ჩვენი მოსახლეობის კეთილდღეობისათვის.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი (პოლიტიკური პარტია „გირჩი“) ქალბატონი **თეკლა მებურიშვილი:** „მეც მინდა შევუერთდე საყოველთაო მადლობას. კომისიური მუშაობის დროსაც დავაფიქსირე ჩემი პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით. გავეცანი გადმოგზავნილ დოკუმენტს და ის პროგრამები, რომლებიც სოციალურ სამსახურშია გათვალისწინებული, ყველა

კრიტიკულად მნიშვნელოვანია. ჩვენ თუ დავეხმარებით ამ საჭიროებების მქონე ადამიანებს, ამაზე უკეთესს ვერაფერს გავაკეთებთ. ვფიქრობ, რომ ჩვენი ფუნქცია და მოვალეობაც ისაა, რომ ხელი შევუწყოთ და დავეხმაროთ. პრიორიტეტები, რომლებიც განსაზღვრულია, ყველა კრიტიკულად აუცილებელია, რომ განხორციელდეს, რა თქმა უნდა, ისეთი ბიუჯეტი ვერასოდეს გვექნება, რომ ყველაფერი იქნეს გათვალისწინებული, მაგრამ მჯერა, რომ შეძლებთ თქვენ გუნდთან ერთად, უფრო მეტი ბენეფიციარის მოთხოვნა იქნეს დაკმაყოფილებული. ამ სამსახურს ნამდვილად ეტყობა, რომ მუშაობს თავისი მაქსიმალური დატვირთვით და მაქსიმალურადაა მორგებული ადამიანების საჭიროებაზე. დადებითი განწყობაც ქალაქში ნამდვილად იგრძნობა. მინდა მადლობა გადაგიხადოთ იმისათვის, რომ ასე მუშაობთ ჩვენი თანაქალაქელების უკეთესი ცხოვრებისათვის."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი გიორგი ჭიღვარია: „მთელი გუნდის სახელით ვუერთდებით მადლობას ამ სამსახურისა და ზოგადად, აღმასრულებლის მიმართ."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – სოციალურ საკითხთა სამსახურის ანგარიშის თაობაზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი განკარგულების პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 22-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ლ.გვენეტაძე, თ.ბაკურაძე, ალ.მიქაუტაძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის **მესამე** საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, გიორგი ჭიღვარიას** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – სოციალურ საკითხთა სამსახურის ანგარიში 2025 წლის იანვრიდან 2026 წლის მაისამდე გაწეული საქმიანობის შესახებ“ და **განკარგულება №69** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის **მეოთხე** საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის №359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა **ვალერიან სილაგაძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი განკარგულების პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 22-მა წევრმა. კენჭისყრის

პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ლ.გვენეტაძე, თ.ბაკურაძე, ალ.მიქაუტაძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის **მეოთხე** საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის, **ვალერიან სილაგაძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის №359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **განკარგულება №70** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის **მეხუთე** საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 25 მარტის №59 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2026 წლის 27 მაისის სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით, ცვლილებით (**განკარგულების პროექტის პირველ მუხლში გასწორდა ტექნიკური ხარვეზი და აღნიშნული მუხლი ჩამოყალიბდა განკარგულების პროექტის სათაურში არსებული ჩანაწერის შესაბამისად, შემდეგი რედაქციით: „მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 25 მარტის №59 განკარგულებაში, კერძოდ, ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმას დაემატოს №136-№140 პუნქტები თანდართული რედაქციით.“**), წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის

მუნიციპალიტეტის მერიის ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა **ვალერიან სილაგაძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი განკარგულების პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ დღის წესრიგის მეხუთე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 23-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ლ.გვენეტაძე და ალ.მიქაუტაძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის **მეხუთე** საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის, **ვალერიან სილაგაძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 27 მაისის **№71 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 25 მარტის №59 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **განკარგულება №71** ოქმს თან ერთვის)

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგითი მერვე სხდომის დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის დამთავრებისა და

მათთან დაკავშირებით, შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების დასრულების გამო, საკრებულოს რიგითი მერვე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგით მერვე სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ჭიღვარია

ოქმი შედგენილია საკრებულოს აპარატის მეორადი
სტრუქტურული ერთეულის - სამდივნო განყოფილების
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის, თ.ნიქაბაძისა
და ამ განყოფილების უფროსის, ც.პატარიძის მიერ.